GALT & TAGHARTI
ვეძებით შესაძლებლობებს

ბათუმის საცხოვრებელი უძრავი ქონება

2025 სრული წლის მიმოხილვა და 2026 წლის მოლოდინები

ზუკა თავყელიშვილი
ასოცირებული მკვლევარი | ztavkelishvili@gt.ge | +995 32 2401 111 ext. 8973

ოთარ ცუხიშვილი
უფროსი ანალიტიკოსი | otsukhishvili@gt.ge | +995 32 2401 111 ext. 3018

საბა ჩახვაშვილი
უფროსი ანალიტიკოსი | schakhvashvili@gt.ge | +995 32 2401 111 ext. 5071

ძირითადი მაჩვენებლები ბათუმში

	2023	2024	2025
გაყიდვები ბინების რაოდენობა	15,758	15,195	17,478
პირველადი	8,429	8,333	9,485
მეორადი	7,329	6,862	7,993
ფასი $ / მ² მზა აპარტამენტი	$1,569	$1,699	$1,865
დღიური ქირა $ / დღე	$41.7	$35.9	$35.6

GALT & TAGARTI
ვქმნით შესაძლებლობებს

შენიშვნა: ფასები მოცემულია პირველადი ბაზრის მზა ბინებისთვის (Turnkey კონდიციაში)

უძრავი ქონების გაყიდვების მახასიათებლები 2025 წელს



ძველი ბათუმი

გაყიდვების რაოდენობა
1,727 ბინა
საშუალო ფასი
3,028 $ / მ²
საშუალო თვიური ქირა
10.9 $ / მ²

გმირთა ხეივანი

გაყიდვების რაოდენობა
3,993 ბინა
საშუალო ფასი
2,095 $ / მ²
საშუალო თვიური ქირა
N/A

გონიო-კვარიათი

გაყიდვების რაოდენობა
386 ბინა
საშუალო ფასი
2,048 $ / მ²
საშუალო თვიური ქირა
N/A

მახინჯაური

გაყიდვების რაოდენობა
948 ბინა
საშუალო ფასი
1,854 $ / მ²
საშუალო თვიური ქირა
N/A

ახალი ბულვარი

გაყიდვების რაოდენობა
6,807 ბინა
საშუალო ფასი
1,761 $ / მ²
საშუალო თვიური ქირა
10.3 $ / მ²

შიდა არეალი

გაყიდვების რაოდენობა
1,931 ბინა
საშუალო ფასი
1,730 $ / მ²
საშუალო თვიური ქირა
9.3 $ / მ²

პერიფერიები

გაყიდვების რაოდენობა
1,686 ბინა
საშუალო ფასი
1,487$ / მ²
საშუალო თვიური ქირა
9.5 $ / მ²

ქობულეთი

გაყიდვების რაოდენობა
599 ბინა
საშუალო ფასი
1,721 $ / მ²
საშუალო თვიური ქირა
N/A

შენიშვნა: ფასები მოცემულია პირველადი ბაზრის მზა ბინებისთვის (**Turnkey** კონდიციაში); ბათუმი მოიცავს მახინჯაურისა და გონიო-კვარიათის ტერიტორიებს

ბათუმი - 2025 მიმოხილვა 2026 მოლოდინები

აღდგენა 2025 წელს

2025 წელს, ბათუმის საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზარზე გაყიდვები აღდგა, 2024 წელს დაფიქსირებული კლების შემდეგ. ტრანზაქციების რაოდენობა გაიზარდა როგორც პირველად, ისე მეორად ბაზარზე და ჯამში 17,478 ბინას მიაღწია (+15.0% წ/წ). ამასთან, მნიშვნელოვნად გაიზარდა ბაზრის ღირებულებაც და 1.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა (+23.8% წ/წ), რაც ბაზარზე აქტივობის ზრდას უსვამს ხაზს. ამას ხელი შეუწყო 2025 წელს ახალი მსხვილმასშტაბიანი პროექტების გაყიდვების დაწყებამ და მეორად ბაზარზე გაზრდილი საბინაო ფონდის გამო გაზრდილმა აქტივობამ.



დეველოპერების გამოკითხვა - ზრდა, თუმცა პიკზე ქვემოთ

პირველად ბაზარზე, რეალურ დროში სისტემური დეველოპერების გამოკითხვაზე დაყრდნობით, 2025 წელს გაყიდვები წლიურად გაიზარდა, თუმცა ბაზარი ჯერ კიდევ ვერ დაუბრუნდა 2023 წელს დაფიქსირებულ რეკორდულ ნიშნულს. ამავდროულად, გასაყიდი ბინების რაოდენობა სწრაფად ზრდას განაგრძობს. სხვა სიტყვებით, ბაზარზე მაღალი აქტივობის მიუხედავად, გაზრდილი მიწოდება ჯერ კიდევ არ არის ათვისებული.



გაზრდილი ფასები და შემცირებული ამონაგები

პირველადი ბაზრის ფასების ზრდა მოთხოვნის ზრდას უსწრებს, რაც ართულებს მიმდინარე ზრდის ტემპის შენარჩუნებას. ფასის ზრდა პირველად ბაზარზე დაჩქარდა და გადააჭარბა მეორადი ბაზრის ზრდის ტემპს (9.4% წ/წ და 6.9% წ/წ საშუალო ზრდა, შესაბამისად), რამაც სხვაობა ბაზრების ფასებს შორის კიდევ უფრო გააფართოვა. ამასთან, ქირის ფასი წლიურად უცვლელი დარჩა და საშუალოდ დღეში $35.6 შეადგინა. შედეგად, ბათუმში ქირის ამონაგები - საინვესტიციო მოთხოვნის მთავარი კატალიზატორი - 2024 წლის 8.8%-დან 7.4%-მდე შემცირდა 2025 წელს. აღსანიშნავია, რომ კლების მიუხედავად, ბათუმში ამონაგები კვლავაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალია სხვა საზღვაო კურორტებთან შედარებით.





2026 - გაზრდილი მიწოდების ათვისების ტესტი

ჩვენი მოლოდინით, 2026 წელს გაყიდვების დონე პირველად ბაზარზე, მნიშვნელოვნად არ შეიცვლება, ხოლო მეორად ბაზარზე ზრდაა მოსალოდნელი, რასაც ხელს შეუწყობს გაზრდილი საბინაო ფონდი და ბაზრის გააქტიურება.

მოსალოდნელია, რომ პირველად ბაზარზე ფასის ზრდა 2026 წელს წლიურად 4-6%-მდე შენელდება, 2025 წელს დაფიქსირებული 9.4% წლიური ზრდის შემდეგ. პირველად და მეორად ბაზრებს შორის ფასთა სხვაობა აღარ გაიზრდება. ამასთან, ქირის ამონაგები შემცირებას განაგრძობს, მზარდი ფასისა და დიდი რაოდენობით მიმდინარე მშენებლობების ფონზე, რომლებიც მომდევნო წლებში ჩაბარდება.

საერთო ჯამში, 2026 წელი 2025 წლის აღდგენით განპირობებულ ოპტიმისტურ მოლოდინებთან შედარებით უფრო ფრთხილ პერსპექტივას აჩვენებს. ბათუმში რამდენიმე მსხვილმასშტაბიანი პრემიუმ პროექტის დაწყებაა დაგეგმილი, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მშენებარე საბინაო ფონდს და დამატებით ზეწოლას მოახდენს ბაზარზე. მნიშვნელოვანი იქნება ახალი ქვეყნების დაინტერესება ბათუმის უძრავი ქონებით, რადგან სწორედ მშენებარე პროექტებში ათვისების ტემპი და უცხოელი მყიდველების მხრიდან საინვესტიციო მოთხოვნის მდგრადობა განსაზღვრავს ბაზარი დასტაბილურდება თუ შენელდება 2026 წელს.

ირანში ბოლოდროინდელი კონფლიქტის ესკალაცია და მასთან დაკავშირებული რეგიონული რისკები მოკლევადიან პერიოდში საფრთხეს, პირველ რიგში, ისრაელიდან მოთხოვნას უქმნის - ეს სეგმენტი ბათუმში ყველაზე სწრაფად მზარდია უცხოელ მყიდველთა შორის და მასზე გაყიდვების 13% მოდიოდა 2025 წელს. თუმცა, როგორც წესი, ხანგრძლივი არასტაბილურობის დროს ისინი უსაფრთხო თავშესაფრის (safe haven) აქტივებს ეძებენ და ბათუმს, რომელიც მათთვის უკვე კარგად ნაცნობი ბაზარია, შესაძლოა საშუალო ვადაში ამან სარგებელი მოუტანოს.

უძრავი ქონების გაყიდვები

გრაფიკი 1: თვიურად გაყიდული ბინების რაოდენობა, '000 ერთეული



გრაფიკი 2: წლიურად გაყიდული ბინების რაოდენობა, '000 ერთეული



წყარო: საჯარო რეესტრი, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: პირველადი ბაზრის ტრანზაქციების მაჩვენებელი ჩამორჩება რეალურ მონაცემებს; რეალურ დროში მონაცემებს ასახავს გალტ & თაგარტის დეველოპერების გამოკითხვა (დეტალებისთვის იხილეთ შემდეგი გვერდი)

გრაფიკი 3: თვიური ბაზრის ზომა, მლნ აშშ დოლარი



გრაფიკი 4: ჯამური ბაზრის ზომა, მლნ აშშ დოლარი



წყარო: საჯარო რეესტრი, გალტ & თაგარტი

პირველადი ბაზარი - დეველოპერსა და ფიზიკურ პირს შორის განხორციელებული ტრანზაქცია

მეორადი ბაზარი - ფიზიკურ პირებს შორის განხორციელებული ტრანზაქცია

ბინების გაყიდვების სტატისტიკა ეფუძნება საჯარო რეესტრის მონაცემებს, სადაც პირველადი ბაზრის ტრანზაქციები დაგვიანებით აისახება. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად ჩვენ სისტემატურად ვატარებთ დეველოპერების გამოკითხვას

გალტ & თაგარტის სისტემური დეველოპერების გამოკითხვა

2026 წლის იანვარში, ჩვენ ჩავატარეთ სისტემური დეველოპერების გამოკითხვა, რომელიც მოიცავდა 30-ზე მეტ მშენებარე საცხოვრებელ პროექტს ბათუმში (ჯამურად პირველადი ბაზრის დაახლოებით 40%-ს).

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით:

- 2025 წელს გაყიდული ბინების რაოდენობა წლიურად 23.9%-ით გაიზარდა, 2024 წელს დაფიქსირებული კლების შემდეგ, თუმცა კვლავ მნიშვნელოვნად ჩამორჩება 2023 წლის დონეს. აღსანიშნავია, რომ ეს ზრდა არათანაბრად იყო გადანაწილებული დეველოპერებს შორის.
- შერჩეული დეველოპერების პროექტებში გასაყიდი ბინების რაოდენობამ ზრდა განაგრძო და 2025 წელს c. 12,400 (+13.9% წ/წ) შეადგინა. გაყიდვების დასტაბილურების მიუხედავად, გასაყიდი ბინების რაოდენობის ზრდა ჭარბი მიწოდების რისკების შენარჩუნებაზე მიუთითებს.
- პროექტებში, რომლებიც 2025 წელს დასრულდა, ბინების 95% გაყიდული იყო.
- 2025 წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეების წილმა შერჩეული დეველოპერების პროექტების გაყიდვებში 52% შეადგინა, რაც ქვეყნების მიხედვით დივერსიფიცირებული იყო.

გრაფიკი 5: თვიურად გაყიდული ბინების რაოდენობა



გრაფიკი 6: წლიურად გაყიდული და გასაყიდი ბინების რაოდენობა



წყარო: გალტ & თაგარტის შერჩეული დეველოპერების გამოკითხვა

გრაფიკი 7: საბინაო ფონდის განაწილება დასრულების წლისა და სტატუსის მიხედვით



გრაფიკი 8: უძრავი ქონების გაყიდვები მოქალაქეობის მიხედვით



წყარო: გალტ & თაგარტის შერჩეული დეველოპერების გამოკითხვა
შენიშვნა: გამოთვლები ეყრდნობა გაყიდული ბინების რაოდენობას

უძრავი ქონების ფასი და ქირა

გრაფიკი 9: უძრავი ქონების საშუალო შეწონილი ფასები, აშშ დოლარი/კვ.მ



გრაფიკი 10: ფასის წლიური ცვლილება პირველად ბაზარზე, 3 თვის მოძრავი საშუალო



წყარო: საჯარო რეესტრი, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: პირველადი ბაზრის ფასები მოცემულია მზა ბინებისთვის (Turnkey კონდიციაში); მეორადი ახალი პროექტები მოიცავს შენობებს, რომლებზეც მშენებლობის ნებართვა გაიცა 2013 წლის შემდეგ;

გრაფიკი 11: Airbnb-ს აპარტამენტებში საშუალო დღიური ქირა (ADR), აშშ დოლარი/დღეში



გრაფიკი 12: ქირის შემოსავლიანობა ქალაქების მიხედვით, 2025 წლის დეკემბერი



წყარო: Airdna, Numbeo, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: ADR მოცემულია ბათუმში მაქსიმუმ 2 საძინებლიან აპარტამენტებზე

ბათუმის უბნები

გრაფიკი 13: ბათუმში გაყიდული ბინების რაოდენობა უბნების მიხედვით



წყარო: საჯარო რეესტრი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 14: უძრავი ქონების ფასები პირველადი ბაზრის მზა კონდიციის (Turnkey) ბინებზე უბნების მიხედვით, აშშ დოლარი/კვ.მ



წყარო: გალტ & თაგარტი

გრაფიკი 15: უძრავი ქონების ფასების დიაპაზონი პირველად ბაზარზე მზა კონდიციის (Turnkey) ბინებზე უბნების მიხედვით დეკ-25, აშშ დოლარი/კვ.მ



წყარო: გალტ & თაგარტი

უძრავი ქონების მახასიათებლები

გრაფიკი 16: უძრავი ქონების გაყიდვები ზომის მიხედვით (მთლიანი გაყიდვების %)



გრაფიკი 17: უძრავი ქონების გაყიდვები ფასის სეგმენტის მიხედვით (მთლიანი გაყიდვების %)



წყარო: საჯარო რეესტრი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 18: მშენებლობის ღირებულების ინდექსი, I კვარტალი 2019=100



	წ/წ ზრდა დეკ-25, აშშ დოლარი	კვ/კვ ზრდა დეკ-25, აშშ დოლარი
მშენებლობის ღირებულება	**9.8%**	**4.0%**
სამშენებლო მასალები	*4.3%*	*0.2%*
ხელფასები	*29.3%*	*19.3%*
ტექნიკა	*6.2%*	*0.1%*
ტრანსპორტი, საწვავი და ელექტროენერგია	*3.8%*	*0.5%*
სხვა ხარჯები	*8.5%*	*1.3%*

წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს Lion Finance Group ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

ასოცირებული მკვლევარი
ზუკა თავყელიშვილი | ztavkelishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
ოთარ ცუხიშვილი | otsukhishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
საბა ჩახვაშვილი | schakhvashvili@gt.ge

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0108, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge